საქართველოს კანონი

„საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონში ცვლილების შეტანის თაობაზე

მუხლი 1. „საქართველოს სახელმწიფო ჯილდოებისა და პრემიების შესახებ“ საქართველოს კანონს (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე (www.matsne.gov.ge), 27.12.2017, სარეგისტრაციო კოდი: 010330000.05.001.018701) დაემატოს შემდეგი შინაარსის 2^2 მუხლი:

„მუხლი 2^2. საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების ნიმუშების დამტკიცების წესი

საქართველოს სახელმწიფო ჯილდოების – ორდენებისა და მედლების – ნიმუშებს ამტკიცებს საქართველოს პრეზიდენტი „სახელმწიფო მნიშვნელობის სიმბოლოების შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით.“.

მუხლი 2. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი **სალომე ზურაბიშვილი**

თბილისი,

22 თებერვალი 2019 წ.

N4334-IIს